პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 207 (19948) სამშაბათი, 8 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები

საბჭოთა აზერბაიჯანი

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა დარგსა თუ უბანზე მოპოვებული გარკვეული წარმატებებითა და ნათელი პერსპექტივებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელები. რესპუბლიკაში, ამჟამად ორ დღეზე ნაკლებ დროში იქმნება იმდენივე სამრეწველო პროდუქცია, რამდენიც მთელი 1920 წლის — საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების წლის განმავლობაში მზადდებოდა. ასევე თვითვე მკვეთრი გარდატეხა მოხდა ნებისმიერ სხვა დარგშიც.

ეს კი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია, რევოლუციისა, რომელიც რესპუბლიკაში კვლავაც გრძელდება ამჟამინდელი კონკრეტული გამოხატულებით — გარდაქმნითა და დაჩქარებით.

სწორედ ამის თაობაზე მოგითხრობთ დღევანდელ ნომერში რუბრიკით — „სსრ კავშირი: ძმობის მისამართები“ გამოქვეყნებული საკვლევისა და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

დავხვეწოთ საგაისო გეგმები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან გამართულ სხდომაზე განხილულს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. აღინიშნა, რომ გეგმის პროექტი ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ძირითადად შეესაბამება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს და მიზნად ისახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების იმ სტრატეგიული კურსის რეალიზაციას, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა.

უნდა ვიხელმძღვანელოთ მეთორმეტე ხუთწლედის პროგრამით და ამავე დროს განვაგრძოთ მუშაობა 1988 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებზე. მუშაობა უნდა წარიმართოს მომავალი წლის თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელთა არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ძალაში შედის სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, ნახევარზე მეტ სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებენ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითფინანსების პრინციპებზე მომუშავე საწარმოები და გაერთიანებები.

მომავალი წლის პროექტი შემუშავდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე. ეს ყურად უნდა იღონ ჩვენი რესპუბლიკის იმ სამრეწველო საწარმოებმა, რომლებსაც ოთხი თვის შემდეგ ახლებურ პირობებში მოუწევთ მუშაობა. ცხადია, ზემოთქმული ეხება სამეურნეო ანგარიშზე უკვე მომუშავე საწარმოებსაც. საქმე ის არის, რომ ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს, რაც ითქვა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში სისტემატურად იფუშება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ვადები, მეტადრე ახალ სახეობათა წარმოებისა და ტექნოლოგიების, მექანიზაციის ავტომატიზაციის და წარმოების ავტომატიზაციის სფეროში. ხელის შრომის შემცირების პროგრამის დავალებებს შლიან მსუბუქი მრეწველობის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები, „საქქანანახშირის“, „ელვას“, აზოტის საწარმოო გაერთიანებები, სხვები.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს მანქანათმშენებლობისა და მისი ისეთი სახეობა დარგების შემდგომ უპირატეს განვითარებას, როგორიც არის ჩარხმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობა. ჩვენს რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის კომპლექსის ყველა ზემოხსენებული დარგია და ისინი, სამწუხაროდ, ერთნაირ შედეგს რიდი აღწევენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე, ცხადია, ამ საკითხზეც გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ უკიდურესად ნელა ახლდება მანქანათმშენებლობის პროდუქცია. წლეულს 2,6 პროცენტი საგეგმო მაჩვენებელს ნაცვლად განახლების ფაქტობრივმა დონემ 1,6 პროცენტი შეადგინა.

დამაკმაყოფილებელი ვერ არის სამრეწველო სიმძლავრეების დატვირთვა, ძალიან მცირეა მოწყობილობის ცვლითობის კოეფიციენტი. ამან, ცხადია, სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს, ღრმად უნდა გავერკვეთ მრეწველობის ყველა პრობლემაში, მის სტრუქტურაში, რომელიც ყოველთვის ვამიზნულად არ ყალიბდება, მის სანედლეულე და ენერგეტიკულ ბაზაში და პერსპექტივებში.

ახლა როცა საგაისო გეგმებზე ვფიქრობთ და მეურნეობის ახალ პირობებში მუშაობისათვის ვემზადებით, დასანანია, რომ მანქანათმშენებლობის კომპლექსის ისეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არის თბილისის „ჩარხმშენებელის“, „საქელექტრომანქანის“, „ელმავალმშენებელის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებები, ვერ შეასრულეს სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის რვა თვის გეგმები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობაში რესურსდაზოგვას, როგორც მისი შეწონასწორებელი განვითარების უწრუველყოფის ერთ-ერთ მთავარ გზას. ვინ იცის, უკვე რამდენჯერ თქმულა ეს და მშვენივრად იცის ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა, რომ მეთორმეტე ხუთწლედისა და შემდგომი პერიოდის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების გეგმები მომჭირნეობას ეყრდნობა. იმაზეც ხშირად ვლაპარაკობთ, რომ ამ მხრივ ჯერჯერობით შორს ვართ სასურველი შედეგიდან. ბევრ დარგსა და საწარმოში ჯერაც არ ამოქმედდებულა ახალი ეკონომიკური მექანიზმის ყველა შესაძლებლობა მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად და მეურნეობრიობის ეფექტიანობის გასაზრდელად. ამაზე, როგორც გაზეთი „კომუნისტის“ ახლახან გამოქვეყნებულ მთელ რიგ პუბლიკაციებში აღინიშნა, შეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში სასაქონლო პროდუქცია 13610 ათასი მანეთით გაძვირდა, და ეს ხდება საკავშირო დაქვემდებარების, ძირითადად მანქანათსაშენებელი კომპლექსის საწარმოების, იმ საწარმოების მიზეზით, რომლებიც ჩვენს მრეწველობაში, როგორც იტყვიან, ამინდს ქმნიან. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ საგრძნობლად გავზარდოთ პირველად ათვისებული მანქანათმშენებლობის პროდუქციის წილი მრეწველობაში.

გეგმის პროექტის განხილვის დროს ყურადღების ცენტრში მოექცა პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხებიც. როგორც ითქვა, სახალხო მეურნეობაში გარკვეული დადებითი ძვრები მოჰყვა იმას, რომ მთელი რიგი დარგების გაერთიანებებსა და საწარმოებში სახელმწიფო მიღება დაწესდა. ხაზი გაესვა იმასაც, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეში ბევრი გადასაჭრელი პრობლემაა, რომლებიც უკავშირდება წარმოების ორგანიზაციის დაბალ დონეს, პროგრესული ტექნოლოგიების სუსტ გამოყენებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის შუამობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ახლა ჩვენში შემუშავებულია რესპუბლიკის მიზნობრივი პროგრამა „ხარისხი-90“, რომელსაც საფუძვლად დაედო სამინისტროების, უწყებების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების წინადადებები. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვების მოცულობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა, „ნიახლის“ ინდექსიანი და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის დამზადების წილი გეგმების შემუშავებისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ზემოხსენებული პროგრამის შესრულება.

რესპუბლიკის 21 სამრეწველო საწარმოს პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლამ მთლიანად წარმოაჩინა უამრავი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებანი, დაგვანახვა, რომ ამ მხრივ თვისებრივად ახალ საფეხურზე ასვლა მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ისიც ცხადი გახდა, რომ მონდომებით, საქმისადმი გაძლიერებული პასუხისმგებლობით, ახლებური აზროვნებით და, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებით შეიძლება მათი დძლევა. ეს დაამტკიცეს მაგალითად, თბილისის „ანალიზსელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისა და მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივებმა.

ახე რომ, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლასთან დაკავშირებით შეძენილია გარკვეული გამოცდილება, ახლებურად შუამობის პირობებში მოწინავე საწარმოების მიღწევებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და გავითვალისწინოთ ჩამორჩენილთა მწარე გაკვეთილები.

ყველა ცენტრალური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოს ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა დროულად და ხარისხიანად მოამზადონ სახალხო მეურნეობა ზამთრის პირობებში შუამობისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამო გეგმის ჩაშლა. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს ვერა აქვთ ყველაფერი რიგზე და საქმეს უნდა მივხედოთ, სანამ ჯერ კიდევ ძალიან გვიან არ არის. ზამთარი მკაცრად მოგვკითხავს.

ყველა გაერთიანებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს მიმდინარე წლის გეგმები და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. ამიტომ საჭიროა ეუმატოთ შრომის ტემპს, ვეძიოთ, გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ საწარმოების ყველა შესაძლებლობანი. რეზერვები ყველგან უმრეტია. პარტიულმა ორგანიზაციებმა შეუნელებელი კონტროლი უნდა დაუწესონ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მსვლელობას.

პირადი მაგალითი

თბილისის ვ. პატონის სახელობის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხანაში განახლდა მოძველებული დანადგარები.

ახალი დანადგარებით ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. ისინი არიან დღეს აქ დანერგილი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ბატონ-პატრონები. მათ მხარში უდგას წარმოების „ქარცეცხლში“ გამოვლილი შრომის ვეტერანი — სამღებრო საამქროს უფროსი ომარ გოგელია. მის მიერ დოსტატებული არა ერთი და ორი ახალგაზრდა მართავს ახლა თანამედროვე ტექნიკას.

ამ სურათზე ო. გოგელიას (მარჯვნივ) თქვენ ხედავთ თავის ყოფილ შეგირდთან, ახლა უკვე საკმაოდ გამოცდილ სპეციალისტთან, სამღებრო საამქროს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელთან არჩილ კალანდაძესთან ერთად.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

თაყვანი ვცეთ იმ დიად ფლეგს

ბოროდინოს ბრძოლის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული

ასპექტარიანი ბოროდინოს ველი სულ პატარა წერტილია რუკაზე, მაგრამ მასთან დაკავშირებულია ჩვენი ისტორიის ლეგენდარული ნიშანსვეტები. ბოროდინო ხალხის დიღებისა და მამაცობის სარბიელი, ორი სამამულო ომის დიდებული ძეგლი გახდა.

მარადიულ საგუშაგოს დარაჯებივით დგანან ველზე 1812 და 1941 წლების ჯარისკაცთა ობელისკები, ბაგრატიონის ფლეშები, სიმაგრეები და რედუტები მეზობლობენ კვარცხლბეკზე აღმართულ ტანკებს და წითელგარსკვლავიან პირამიდებს. პირველი სამამულო ომის გმირი არტილერისტების ძეგლზე წარწერა „მშობლების მამაცობა — შვილების მემკვიდრეობა“. გრძელდება გარუჯულ საცეცხლე წერტილზე ამოკვეთილი სტუდენტთა: „სახელმწიფო იცავს“.

წინაპართა მამაცობის, ჩვენი თანამედროვეების გმირობის თაყვანსაცემად 6 სექტემბერს ბოროდინოს ველზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა ცნობილი ბრძოლის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

ამწვანებულ კორტხებს შორის, რომელსაც ვერცხლის ქამარივით შემოჰკვრია მდინარე კოლოჩი, ყორღანზე აღმართულია ბოროდინოს ბრძოლის გმირთა ოქროსქიმიანი მონუმენტი.

აქ, სადაც ოდესღაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდა მტერს რაევსკის სახელგანთქმული ბატარეა, ჩამწკრიელებულან 1812, 1941, 1987 წლების ჯარისკაცთა ფორმიანი მეომრები — დღესასწაულის საპატიო ყარაული.

დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ამხანაგები: **ვ. ი. ვოროტნიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. ვ. ლიგაჩოვი, ნ. ნ. ხლიუნკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ვ. ტალონინი, დ. ტიაზოვი, ვ. ა. მედვედევი, გ. ჰ. რაზუმოვსკი.** აქვე არიან პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხედართმთავრები, ფრონტლეტები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, მოსკოვისა და მისი ოლქის შრომითი კოლექტივების წარმოგზავნილები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ესწრებიან საზღვარგარეთელი სტუმრები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ყვავილებით შეამკეს 1941-1942 წლებში ბოროდინოს ველზე დაღუპული საბჭოთა მეომრების საძმო საფლავებზე აღმართული ძეგლი, აგრეთვე მ. ი. კუტუზოვის ძეგლი, დათვალიერეს სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული მუზეუმ-ნაკრძალის ექსპოზიცია, რუსული დიდების ველის სხვა სამახსოვრო ადგილები.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ **ი. მ. ჩერეპანოვმა.**

საზეიმოდ გუგუნებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. საპატიო ყარაულის მეომრებს შემოკვეთ 1812 წლის რუსული არმიისა და დიდ სამამულო ომში მებრძოლი სამხედრო ქვეგანაყოფების ლეგენდარული დროშები.

ზეიმზე გამოვიდნენ აკადემიკოსი **ა. ლ. ნარინსკი**, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი **ვ. დ. მოროზოვი**, კუპავინის წმინდა მაუდის ფაბრიკის ალკა კომიტეტის მდივანი **ანა ნიკონოვა**, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. ლევინი**, მწერალი **ი. ვ. ბონდარევი.**

საზეიმო მიტინგი მთავრდება. ვეტერანები და ახალგაზრდა მეომრები სათუთად იღებენ ხელში გიორგის ლენტით გადახვეულ ხსოვნისა და დიდების გირლანდს, მიაქვთ იგი გორკის მწვერვალზე და ამით ამკობენ რაევსკის ბატარეაზე აღმართული მონუმენტის კვარცხლბეკს.

ბოროდინოს ველზე სიჩუმე ისადგურებს. დგება დუმილის წუთი. დამშვიდენი საბრძოლო დროშები. მარადიული ხსოვნა ხალხის გმირობას!

ყორღანის კალთებზე ჭენებით აიჭრნენ მხედრები. რუსეთის არმიის მესაყვირენი, ბუდიონელი მესაყვირენი, დიდი სამამულო ომის მესაყვირენი იუწყებიან დღესასწაულის ახალი ნაწილის დაწყებას. ეს არის თეატრალიზებული წარმოდგენა „ბოროდინოს დღე“.

ბოროდინოს ველზე საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. მწვანე სცენაზე თვითმოქმედი ანსამბლების ფერხულია.

...დღესასწაულის მძლავრ ბოლო აკორდად დიდების ველზე გაისმის სიტყვები: თაყვანი ვცეთ იმ დიად ნგლებს, ყველამ ერთად, მთელმა ქვეყანამ თაყვანი ვცეთ იმ დიად ბრძოლას! გამარჯვების ბრძოლას, რომელმაც მშვიდობა მოუტანა ხალხებს და საშუალება მოგვცა დღეს დავმტკბარიყავით ატეხილი მთა-ველითა და ოქროსფერი მოშრიალე პურის ყანებით

ლ. ერმაკოვა,
ა. ბელიკოვი,
ი. ვეძლერი,
ნ. ძელეზნოვი.
(საკადესის სპეც. კორ.).

ბოროდინო,
მოსკოვის ოლქი.

ველით თქვენს რჩევა-წინადადებებს, პატივცემულო ამხანაგებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო იუწყებიან, რომ **1987 წლის 6 ოქტომბერს გაიმართება ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების (თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება, რომელიც განიხილავს საკითხს „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ“.**

ამ საკითხის განხილვამ ასეთი წარმომადგენლობითს ფორუმზე ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, დემოკრატიის განვითარების, სოციალიზმის ღირებულებათა განმტკიცების პერიოდში სახალხო დეპუტატთა საბჭოების წინაშე დაყენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ჩვენი საზოგადოების მიერ სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი პროგრესის ახალი მიჯნების მიღწევას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებულმა ხელშემწყობმა იდეურ-პოლიტიკურმა ვითარებამ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გააქტიურების პირობები შექმნა. მაგრამ ადგილებზე არსებული მდგომარეობა სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა. ხელა მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი საბჭო ვერ გვევლინება პარტიის სოციალური პოლიტიკის განხორციელების აქტიურ მებრძოლ ორგანოდ, ყველგან არ არის დაძლეული სხვისი მომიდეობისა და შეგუების განწყობილება, არ იჩენენ საჭირო გულმოდგინებასა და სიმტკიცეს არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების დასაძლევად, ვერ გაშალეს შეურიგებელი ბრძოლა ყოველივე დახავსებულისა და კოზსერვატიულის წინააღმდეგ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკაროობის გაფართოებასა და საქმიანობის დემოკრატიული ფორმების დანერგვას, ყველგან და ყველაფერში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრას ბევრად შეუწყობს ხელს მოსახლეობის ყველა ფენის მოქალაქეობრივი აქტიურობისა და ინიციატივის გაზრდა, ინერტულობის დაძლევა, გამბედაობა და შეუპოვრობა, ადამიანთა მისწრაფება — იკისრონ პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი საქმეების, სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ ღირებულებათა შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკური კრების დღის წესრიგის ეს მნიშვნელოვანი საკითხი მშრომელთა ფართო მასების, ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ცხოველ ინტერესს გამოიწვევს, და იმედოვნებენ, რომ ისინი გამოთქვამენ სათანადო მოსაზრებებს, წინადადებებსა და სურვილებს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.**

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იღვწიან, რათა ღირსეული შრომითი ნობათები შეეგებონ ამ დღესასწაულს და ვალდებულებანი პირნათლად შეასრულონ

შემჭიდროებულ ვადებში

ეს განწყობა სუფევს ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტშიც, სადაც ახლა ცვლაში 400 ტონით მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე წინათ. ეს შესაძლებელი გახდა საწარმოს ერთ-ერთ ღრმა ჰორიზონტზე საქვანახშირე კომპლექსის დამონტაჟებისა და ამოქმედების შედეგად. ფაქტობრივად მიწის წიაღში აღმართულია თანამედროვე დიდი ქარხანა, რომლის 90-მდე კვანძი და დეტალი 560 ტონას იწონის.

დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით, ასეთი კომპლექსის ასამუშავებლად 45 კალენდარული დღეა ნავარაუდევი, ტყიბულელებმა კი ეს სამუშაო 15 დღით ადრე შეასრულეს.

▼▼

რაიონში პირველმა

შეასრულა სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა ახმეტის რაიონის პანკისის მეკენაფეობის საბჭოთა მეურნეობამ. მარტო ხახვი საგეგმო 250 ტონის ნაცვლად 255 ტონაა ჩაბარებული და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მთლიანად ხიდმოსტნეულის ზამთრის მარაგისათვის შეინახეს.

სოციალური სფერო მთავარია

ცხინვალი ამჟამად შენდება ერთი საბავშვო ბაღი, მაგრამ სამუშაოები გაუმართლებლად გაჭიანურდა იმის გამო, რომ დროზე არ გაათავისუფლეს ტერიტორია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის მოქმედების საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის თათბირზე აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩამორჩენა შეიმჩნევა აგრეთვე სხვა სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, კერძოდ, საავადმყოფოს, საცხოვრებელ სახლების მშენებლობაში. და ეს მაშინ, როცა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს რესპუბლიკის ამ რეგიონში, უზრუნველყოფილია დიდი მექანიკური აღჭურვილობით, და არც საჭირო საშენ მასალები აკლია.

მაგრამ, როგორც საქმის ვითარების ანალიზმა ცხადყო, ადგილობრივ სამშენებლო ქვეგანაყოფებში საგანგაშო სიტუაცია შექმნა მუშათა კადრებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აქ არ ჰყოფნით ეკალიფიციური ოსტატები. მაგალითად, ამჟამად აკლიათ 60 მომპირკეთებელი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა გაუწიონ ტრესტს ყოველმხრივი დახმარება ყველა საჭირო პროფესიის სპეციალისტებით მშენებლობათა დაკომპლექტებაში. მშენებლობაზე მუშის მიზიდვა კი დღეს შეიძლება იმ პირობით, თუ გადაწყდა საჭირბოროტო სოციალური პრობლემების მთელი კომპლექსი — იქნება ეს ცხელი სადილით უზრუნველყოფა თუ ბინის მიცემა.

ძნელი სიტუაცია შეიქმნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტი გეგმას მხოლოდ 80 პროცენტით ასრულებს. ძალზე ნელა მიმდინარეობს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქცია. ზმირია ავრალების, იერიშობანას შემთხვევები. სახლთსაშენებელი კომბინატები არ იცავენ ტექნოლოგიურ ციკლებს. ჩაფუშული დავალებების ობიექტურ მიზეზებს შორის ასახელებენ საშენი მასალების — ცემენტის, ბიტუმის, ლითონკონსტრუქციების ნაკლებობას. მაგრამ, აღინიშნა, თათბირზე, საშენ მასალათა შეფერხებით მიწოდება შეიმჩნევა სწორედ იქ, სადაც არა აქვთ სამუშაოთა ზუსტი გრაფიკი. უნდა გეფართოდეს საშენებლო ინდუსტრიის საკუთარი ბაზაც. მაგალითად, შეიქმნას ინერტული მასალების მოპოვების კარიერები. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ეფექტიანი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ქვემოდან ინიციატივით, და არა ხელმძღვანელი ორგანოების ბრძანებებით.

განიხილეს აგრეთვე წლის ასამოქმედებელი ობიექტების — თბილისის რკინიგზის ვაგზლისა და შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობაში ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებანი.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს, როგორ მიმდინარეობს წლეულს ზამთარში სტიქიურ უბედურებათა დროს დაზარალებული ოჯახებისათვის სახლების მშენებლობა. ორი ათასი სახლიდან დაწყებულია ათას ხუთასის მშენებლობა. აქ საჭიროა დაჩქარდეს სამუშაოთა ტემპი, რათა სიცივეების დადგომისათვის შეესახლებელი დარჩეს მხოლოდ მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მოიწონეს ჯუთრი წყაროს რაიონის მშენებელთა ინიციატივა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს დაზარალებულ ოჯახებს ვადამდე 7 ნოემბრისათვის გადასცენ 50 სახლი.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ საგუშაგო

დაძაბული შრომა გვმართებს

მექანიზატორ გიორგი გულორდავას მაგალითით წალენჯიხის რაიონის ყველა მეჩაიე და მექანიზატორი ყოველგვარ ამინდში კრეფს ჩაის ფოთოლს, რათა ნედლეულის ხარისხი არ გაუარესდეს.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის იჯარული ბრიგადის მექანიზატორმა გიორგი გულორდავამ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე დარჩენილი დრო დამკვრელურად გამოაცხადა, გადიდებული ვალდებულება იკისრა — ყოველგვარ ამინდში ყოველდღიურად მოკრიფოს მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე წინა დღეს, ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითი წილი გაზარდოს სულ ცოტა 3 პროცენტით. ახლა რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში გულორდავას მეთოდით მუშაობენ.

— ამ ინიციატივას მექანიზატორთა 24-ვე იჯარული ბრიგადა გამოეხმაურა, — თქვა მეურნეობის დირექტორმა ვ. ჭანტურიამ, — საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. როცა ბრიგადის მიერ ნაკისრი ვალდებულება შევაჯამეთ, იგი 500 ტონით აღემატებოდა ადრინდელს. მონდომება და შემართება, რომელიც ახლა კოლექტივში სუფევს, გადიდებული ვალდებულების უთუო შესრულების გარანტიას იძლევა. ვალდებულების — 5.550 ტონა ნედლეულის დამზადების შესრულებას სეზონის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე ვუპატაკებთ სამშობლოს. სეზონის ბოლომდე კი ახალ ვალდებულებასაც გავანაღდებთ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, გარდაქმნის და დაჩქარების საკვანძო პოზიციაა ეკონომიკა, მატერიალური დაინტერესება. მეურნეობას დიდი სარგებლობა მოუტანა სრულ მექანიზაციაზე გადასვლამ. აქ ყოველდღიურად 35 მობილური მანქანითა და 200 ხელის საკრეფი აპარატით მუშაობენ. ყველა მექანიზატორი დანახარჯების შემცირების, უკუგებისა და დაინტერესების პრინციპით მოქმედებს. ადრე ისინი არ აბრალებდნენ საბოლოო შედეგს. ახლა მატერიალურ დანახარჯებს დიდ ყურადღებას აქცევენ. ამან მნიშვნელოვანწილად გაზარდა ჩაის მკრეფავთა შრომის ნაყოფიერება, მუშობის ხარისხი.

გ. გულორდავას ინიციატივა არა მარტო მშობლიური მეურნეობის, არამედ რაიონის მეჩაიეთა კეთვნილება გახდა. ყველა მეჩაიეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში გაჩნდა მოწოდებები, პლაკატ-ლოზუნგები — რაიონის მეჩაიეთა ადრინდელი ვალდებულების გადამეტებით მოკრიფოთ 2.400 ტონა მხოლოდ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამით სტიქიით გამოწვეული ზარალს ნაწილობრივ ანაზღაურებთ. ამ დევიზით შრომობენ სოფლების ორჯონიკიძის, ლიის, ნაკიფუს, ობუჯის, ჯვარის, მიქავას, პირველი მაისის, ფახულანის, ჯგალის კოლმეურნეობების მეჩაიეები და მექანიზატორები.

გადიდებული ვალდებულებით რაიონში სულ 38.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა დამზადდეს, რაც გადამშუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დაძაბულ შრომას მოითხოვს. მაგრამ ხომ არ გაჯირდება ნედლეულის დროულად მიღება-გადამუშავება, საწარმოები მზად არიან თუ არა ამისათვის?

— სიმძლავრეთა ნაკლებობა ახლა აღარ არის, იგი დღის წესრიგიდან მოიხსნა, რასაც ხელი შეუწყო სეზონის დაწყებიდან ნაკიფუს № 5 ჩაის ფაბრიკის ამუშავებამ. იგი წლიურად 6 ათას ტონა ნედლეულს გადაამუშავებს. — გვითხრა ჩაის მრეწველობის წალენჯიხის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გ. სალიამ. — ამასთან, შარშანდელთან შედარებით წლეულს საწარმოები უკეთესად მოეშზადნენ ნედლეულის მიღება-გადამუშავებისათვის. დამოტაჟდა ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ხაზები. ამორტიზებული დანადგარ-მოწყობილობანი ახლით შეიცვალა. განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რამაც მოსპო პიკები, დანაკარგები. ბევრი მუშა გამოთავისუფლდა მძიმე შრომისაგან. ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღწეულია ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციაში. 7 თვეში 19 მილიონ 715 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 20 მილიონ 213 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რეალიზებულია 19 მილიონ 715 ათასი მანეთის პროდუქცია, საგეგმო 13 მილიონ 930 ათასი მანეთის ნაცვლად.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით 7 სექტემბრისათვის სუბტროპიკული ზონის მეჩაიეობის რაიონებში სულ მოკრეფილია 500

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გარდაქმნა ზოზინს ვერ იგუებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს პარტიის ვანის, წალენჯიხის, თელავისა და მცხეთის რაიკომების ანგარიშები სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ.

რაიკომების მდივნების, ბიუროების, პარტიული ორგანიზაციების მიმართ გამოითქვა მწვავე და პრინციპული შენიშვნები გარდაქმნის ნელი ტემპის გამო, რამაც ესოდენ თვალსაჩინო გაჭლენა მოახდინა ეკონომიკაზე. კერძოდ, როგორც პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივნის გ. ლოლაძის ანგარიშმა გვიჩვენა, რაიონში ახლა დგას მთელი რიგი პრობლემები. ეს არის მიმდინარე წელს ექვსი საწარმოს მიერ წარმოების მოცულობის შემცირებაც, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობაც... აგროსამრეწველო კომპლექსში კი ეკვე რამდენიმე წელია სისტემატურად არ სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები. მარტო 1986 წელს სახელმწიფოს დააკლდა 900 ტონა ბოსტნეული, 1.600 ტონა ყურძენი, გაიზარდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. სუსტად ინერგება ამ პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევები. რად ღირს, მაგალითად, ასეთი ფაქტი: რაიონში მუშაობს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“, რომლის მინდვრებში სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 80 ცენტნერს აღწევს, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კი ეს მაჩვენებელი 30 ცენტნერს არ აღემატება...

ამ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა არც იმას, რომ ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ნამოუყალიბონ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება. სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური იჯარა ჯერ კიდევ არ გამხდარა წარმოების ეფექტიანობის გადიდების, თვითანაზღაურებაზე მისი გადაყვანის მთავარი ბერკეტი.

უაღრესად არადამაკმაყოფილებელია საწარმოთა ფინანსური მდგომარეობაც. მარტო გადაუხდელმა თანხამ 53 მილიონ მანეთს მიაღწია და აქვს გადიდების ტენდენცია. ძირითად მოვალეთა შორის არიან მცხეთის საკონსერვო ქარხანა და „საქაგრომშენის“ № 13 სამშენებლო ტრესტი.

ამავე დროს, რაიონის ხელმძღვანელობა ყოველთვის მტკიცე და ქმედითს ღონისძიებებს როდი ახორციელებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამიტომ განხილვის დროს სერიოზული საყვედური გამოითქვა მის მიმართ. აღინიშნა, რომ აქ ზოგჯერ ცდილობენ ნაკლოვანებები ახსნან ობიექტური მიზეზებით. მაგრამ ამოცანა ის არის, რომ მიზეზები კი არ ვეძებოთ, არამედ გავაანალიზოთ ნაკლოვანებანი, ვიმუშაოთ ადამიანებთან მიზნამართულად, საგნობრივად, ვასწავლოთ მათ მეურნეობას გაუძღვნენ რაციონალურად და უნარიანად, დაზოგონ სახელმწიფო სახსრების თითოეული კაპიკი, სწორად და რაციონალურად ხარჯონ იგი: ხომ მალე დადგება ის დრო, როცა ყველა საწარმო — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო — გადავა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. და, თუ ამისათვის ისინი ჯეროვნად არ მოემზადებიან, გაკოტრდებიან.

ასეთივე შენიშვნა გამოითქვა სხვა რაიკომების მიმართაც. რომელთა ანგარიშები მოისმინეს. მაგალითად, პარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივანს თ. ლეკიშვილს ურჩიეს მეტი ყურადღება დაუთმოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების პრობლემებს — ხომ არანორმალურია, როცა სასოფლო რაიონს არ ძალუძს ხორცით, რძით, კვერცხით დააკმაყოფილოს თუნდაც საკუთარი მოთხოვნილებანი... ამ რაიონში სხვა ხარვეზებიც ბევრია. მათ განეკუთვნება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შენელება, რის შედეგად აღრიცხული დანაშაულიდან ყოველი მესამე ჩაიდინეს მთვრალმა პირებმა. საყოველთაო, შეტევითი ხასიათი არა აქვს ბრძოლას დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველგან არ შექმნილა სხვადასხვა ნეგატიური მოვლენისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. სამართალდაცვითი ორგანოები ძირითადად წერილმან დატაცებებს ავლენენ.

პარტიის რაიკომი, მისი პირველი მდივანი, აღინიშნა განხილვის დროს, ცდილობენ თვითონ გადაწყვიტონ ყველა საკითხი, ნაკლებად ამბანენ ამ საქმეში საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს. აქ არადამაკმაყოფილებელია ბევრი საწარმოს ფინანსური მდგომარეობაც. ობიექტური მიზეზებების ანალიზი მოწმობს, რომ მათმა ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს მეურნეობის მომჭირნეობა და ყირათიანად გაძღოლა, ისწრაფვიან წარმოება განავითარონ ექსტენსიური ფაქტორებით, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალურ პრობლემებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას. მაგალითად, 1979 წლიდან მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისათვის, რომელთა რიცხვი რაიონში 2.500-ს აღემატება, არ აშენებულა არც ერთი საცხოვრებელი სახლი. განა ამის შემდეგ გასაკვირია, რომ საწარმოებში კადრების დიდი დენადობაა? რაიონმა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე დააყენა ამ საწარმოთა ბაზაზე დარგთშორისი გაერთიანების შექმნის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს მათი მუშაობის კოორდინაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებას, პარალელური საწარმოებისა და სამსახურების გაერთიანებას, სამმართველო აპარატის რიცხვის შემცირებას, ამის შედეგად კი ეკონომიკის განმტკიცებას.

პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივნის ნ. ანდრიაძის ანგარიშის განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომერიულ-ნეობების რენტაბელობა შეადგენს 7,6 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობებისა კი მხოლოდ 4,4 პროცენტს, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში იმყოფებიან. ეს ნიშნავს, ასეთ ადგილებში ადამიანებს ეზარებიან ბაღების გაშენება, ბოსტნეულის, ციტრუსოვანთა, ჩაის, ხილ-კენკროვანთა ნარგავების ინტენსიური ფორმით ბაღების გაშენება, ბოსტნეულის ადრეული ნაკელ-ბაღების ორგანიზაციის, ბაღების ბალახისაგან, ბალახეულისაგან, ბალახეულ-ბალახოვანი ნარევებისაგან, ბალახეულ-ბალახოვანი ნარევებისაგან, ბალახეულ-ბალახოვანი ნარევებ



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები

საბჭოთა აზერბაიჯანი

საუკუნეთა წიაღში აქვს ფესვები გადგმული ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობას. არ არსებობს ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის არც ერთი დარგი, სფერო თუ უბანი, ამის სასიკეთო შედეგი რომ არ იგრძნობოდეს. მაგრამ დღევანდელ წერილში ყურადღებას ძირითადად მხოლოდ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობაზე, მეგობრობა-თანამშრომლობაზე გავამახვილებთ.

ქართველებსა და აზერბაიჯანელებს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ჯერ კიდევ XII საუკუნეში, როცა საქართველოსა და შირვანს (აზერბაიჯანი) შორის შეიკრა სამხედრო კავშირი სელჯუკების წინააღმდეგ. საქართველო ქრისტიანული ქვეყანა იყო, მაგრამ მაჰმადიანი მოძღვარნიც თავისუფლად გრძნობდნენ აქ თავს.

დავით აღმაშენებელი მათთვის ნივთიერ და მორალურ დახმარებასაც არ იშურებდა. ასეთი ვითარება ხელს უწყობდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებას. სწორედ ამ საუკუნეში ამობრწყინდა პოეზიის ორი მარადუქრობი ვარსკვლავი: საქართველოში — შოთა რუსთაველი, ხოლო აზერბაიჯანში — ნიზამი განჯელი.

თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოში დიდი პატივით იღებდნენ შირვანშაპებს. საზეიმო ნადიმის დროს ქართველ და აზერბაიჯანელ პოეტთა შეჯიბრებასაც აწყობდნენ.

დღე დღეს მიჰყვებოდა, საუკუნე — საუკუნეს. ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში მეგობრობის მრავალი ფურცელი იწერებოდა. კვლავ გრძელდებოდა უცხოელ დამპყრობთა თავდასხმები. ქარცეცხლიანი ბრძოლების ვითარებაში მრავალი ხალხური ეპიკური ტილო შეიქმნა როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში. აზერბაიჯანულ ხალხურ ეპოსში ერთ-ერთი საპატიო ადგილი „ქოროღლის“ თქმულებამ დაიკავა. ქართველმა ხალხმა ღვიძლ არსენასავით შეიყვარა ქოროღლი. ქართულ ფოლკლორში მრავალი ლექსი მოიძებნება ამ სახალხო გმირზე.

შორს წაგვიყვანს საქართველოზე შეყვარებულ წინა საუკუნეების აზერბაიჯანელ პოეტთა ჩამოთვლა. მაგრამ შეუძლებელია არ გავიხსენოთ დიდი აზერბაიჯანელი ლირიკოსი ვაგიფი. იგი, როგორც იბრაჰიმ ხანის მთავარი ვეზირი, საქართველოს მეფესთან, ერეკლე მეორესთან დაახლოებული პირი ყოფილა და სახელმწიფოებრივ საქმეებზე ხშირად უხდებოდა ჩვენთან ჩამოსვლა. პოეტი თავის ლექსებში უსაზღვრო სიყვარულს აცხადებს ჩვენი ქვეყნისადმი. თბილისში ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს აღმოხდენია:

დიდება თბილისს! დედამიწაზე
ეს ედემია, ბაღი შვენისა...

ქალაქი განჯა ჩვენი ტკივილიანი წარსულის ერთი დაღდასმული ფურცელია. იქ, მეფის მოხელეთა კანცელარიაში, ბედის მომდურავი და ბედსაშეურიგებელი ტიტანი ქართველი პოეტი განუმეორებელ ლექსებად ჩაგვეფერფლა. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თავად ქვეყნის ბეღუკულმარეთობით სვეგამწარებული, აზერბაიჯანელი პოეტი ქალის გონჩა ბეგუმის მწარე ხვედრს იზიარებდა და მის ლექსებს გატაცებით თარგმნიდა...

თბილისი ახლოებელი და მშობლიური ქალაქი იყო XIX საუკუნის აზერბაიჯანელ საზოგადო მოღვაწეთათვის. თბილისში ცხოვრობდნენ მირზა შაფი ვაზეპი, მირზა ფათალი ახუნდოვი, აბასყული აღა ბაქიხანოვი, ჯალილ მამედგულუზადე და სხვები.

ქალაქი ბაქო XIX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე აზერბაიჯანის კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. ამ დროს იქ ფართოდ იყო გაშლილი რევოლუციური მოძრაობა. ბაქოში იყო ნავთობის სარეწებზე დასაქმებული მუშებისა და ინტელიგენციისაგან შემდგარი ქართული კოლონა; იქ დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ქართული სკოლა. ბაქოს ქართულ თეატრალურ დასში, რომელიც შემდგომში თეატრად გადაკეთდა, იღვწოდნენ ალ. წულუკიძე, შ. დადიანი, კ. მესხი, მ. თაქთაქიშვილი, ა. ჟორჟოლიანი, ი. აგლაძე, ი. მანსვეტაშვილი, თ. წულუკიძე და სხვები.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ხალხების მეგობრობა, ეკონომიკური, თუ კულტურული თანამშრომლობა. ჩვენი სახელოვანი პოეტები პაოლო იამშვილი და ტიციან ტაბიძე ამიერკავკასიის საბჭოების მეოთხე ყრილობაზე მოუწოდებდნენ, რომ ჩვენი ერები უფრო ახლოს გასცნობოდნენ ერთმანეთის კულტურას, ეთარგმნათ ერთმანეთის ნაწარმოებები. სწორედ მათი თაოსნობით გაემგზავრა მწერალთა პირველი დელეგაცია მომძე აზერბაიჯანში, რომელსაც საპასუხო ვიზიტი მოჰყვა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში თარგმნითი ხელოვნების დარგში უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმებოდა. ლიტერატურის ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენად დარჩება 1937 წელს გამართული დიდი შოთა რუსთველის 750 წლისთავის იუბილე. უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ დიდი შთაგონებით თარგმნეს სამედ ვურღუნმა, მამედ რაჰიმმა და სულეიმან რუსთამმა.

„მე არ ვიცი, რა უფრო იზიდავს ჩვენს ხალხს ამ უკვდავ პოემაში, — წერდა მამედ რაჰიმი, — იქნება ნაწარმოებში დასმული პრობლემები, რომლებიც ჩემს ერსაც ისევე აწუხებს, როგორც ქართველებს, თუ მაღალმხატვრულ სამაღლემდე ასული გმირობა, პერსონაჟთა უანგარო მეგობრობა, ერთმანეთისთვის თავგანწირვა, მამულის სიყვარული, — ალბათ, ყველა ერთად, რამაც განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ სამაგიერო წიგნად გადაქცევა თითქმის ყველა აზერბაიჯანელის ოჯახში“.

სამედ ვურღუნმა — ძმობისა და მეგობრობის ამ მეხოტბემ — თავისი გულითადი დამოკიდებულება საქართველოსადმი გამოხატა აგრეთვე პიესით „ვაგიფი“, მრავალი ლექსით და ქართველ თანამოკალმეებთან, განსაკუთრებით კი პოეტ გიორგი ლეონიძესთან მეგობრობით.

მეტად საგულისხმოა გ. ლეონიძის ერთი წერილი, რომელიც მან 1966 წლის 21 მაისს, გარდაცვალების წინა დღეებში დაწერა: „სამედ ვურღუნთან ყოველი შეხვედრა, სადაც უნდა ყოფილიყო ეს — ბაქოში, მოსკოვსა თუ თბილისში — მის დიდ, კეთილშობილ გულთან მაახლოებდა და მინერგავდა რწმენას, რომ ჩვენს ერებს მართლაც, ერთნაირი ბედ-იღბლით უცხოვრიათ. მადლობა ამისათვის! კიდევ დიდი მადლობა სამედ ვურღუნს იმიტომაც, რომ იგი დამეხმარა ღრმად შემეგრძნო მისი მშობელი მიწის პოეტური სული, დამეხმარა შემყვარებოდა იგი მთელი გულით, შემეცნო და კიდევ უფრო მყარად დავრწმუნებულიყავი ჩვენს ძმობაში!..“

მეგობრობის თემა ჩვენი თანამედროვე ქართველი და აზერბაიჯანელი მწერლების შემოქმედებაში დღეს დიდი უშუალობით და დამაჯერებლობით იკვეთება. ორი „მოძმე ერის ურთიერთობის ტრადიცია ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებებშიც ჩვეული სიყვარულით გრძელდება და ღრმავდება. ამას გვიქადაგებდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. ამავე აზრს ასე გამოთქვამს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე: „ჩვენს ბრძენ სულიერ მამებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი სამშობლოსადმი გონივრული სიყვარული მეზობელთან ძმობისა და თანამშრომლობის ფარო გზების ძიებას ნიშნავს, ხოლო სამშობლოს არაგონივრული სიყვარული მისი ღალატის ტოლფასია“.

ქართული მწერლობის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში ხელშესახები და მისაწვდომი გახდა აზერბაიჯანელი მკითხველისათვის. ქართული ენის საუკეთესო მცოდნე და შესანიშნავი მთარგმნელი დილარა ალიევა დიდი სიყვარულით არის დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან და ქართველ ლიტერატორებთან. მთელი მისი სამეცნიერო და მთარგმნელობითი მოღვაწეობა საქართველოსთან განუყოფელ კავშირშია. მოძმე ხალხის სიყვარული შთაგონებს მას ერთნაირი გატაცებით თარგმნოს როგორც ჩვენი კლასიკოსების, ასევე თანამედროვე მწერალთა შემოქმედება. მთარგმნელის დიდ ოსტატობაზე მეტყველებს ამ ბოლო წლებში აზერბაიჯანულად გამოცემული ქართველ მწერალთა არაერთი წიგნი.

ჩვენი რესპუბლიკის მკითხველიც ყოველწლიურად ეცნობა აზერბაიჯანელი მწერლებისა და პუბლიცისტების ახალ-ახალ თარგმანებს, სისტემატიურად ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები: პოეზიის დღესასწაულები, სამეცნიერო სესიები, კონფერენციები. სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ერების მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც დიდი წინაპრების პუმანური და საკაცობრიო იდეალებით არის ნასულდგმულევი.

ლეილა ერაძე.

სიყვარული სიყვარულის წილ

რევოლუცია გრძელდება

გვესაუბრება აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჰ. ბაქიროვი.

ხალხთა ძმური მეგობრობის მატიანეში, რომლის მკაფიო განსახიერებაა ბაქოს გმირული კომუნა, — ამობის პირველი მდივანი, — ბევრი ამადელვებელი ფურცელია ჩაწერილი. და ამ წარუვალი გამოცდილებით მუდამ ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, ფართოდ იყენებს მას ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობაში. ტრადიციები ხომ, როგორი მტკიცეც უნდა იყოს ისინი, ძლიერია განგრძობით. მათი განვითარება გარდაქმნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, გარდაქმნისა, რომელიც ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, ტემპს აძლიერებს აზერბაიჯანში. და ამ მუშაობას ფართოდ იწონებს ხალხი.

— ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲪᲮᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲣᲐᲙᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲬᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲜᲗᲘᲗᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲖᲠᲘ, ᲙᲐᲗᲮᲘᲠᲝᲛᲔᲑᲐᲜᲘ, ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ?

— უთუოდ, შრომელთა განწყობილების მგრძნობიარე barომეტრი გახდა მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი, რომლებსაც იღებს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრი. არასოდეს არ ყოფილა მისი ფოსტა ესოდენ ვრცელი, როგორც ახლა.

ავიღოთ თუნდაც სოციალისტური შრომის გმირის მუსა ქერიმ ოღლი ბაირამოვის წერილი. იგი თითქმის სამოცდაათი წელია მუშაობს ბაქოს ნავთობის სარეწებში და ცნება ინტერნაციონალიზმი მარტო სახელმძღვანელოთი კი არ იცის. ვეტერანს ახსოვს, რევოლუციის გარიჟრაჟზე საბჭოთა რუსეთმა რა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ჩვენს რესპუბლიკას ნავთის მრეწველობის აღდგენასა და რეკონსტრუქციაში. თავის მხრივ აზერბაიჯანელი მენავთობეები, რომლებიც ეხმარებოდნენ ვოლგიდან ურალამდე გადაჭიმულ წარმმართავ ტერიტორიაზე „მეორე ბაქოს“ შექმნაში, ახლა აქტიურად მონაწილეობენ დასავლეთ ციმბირის, შუა აზიის, შორეული აღმოსავლეთის საბადოების ათვისებაში.

ᲣᲧᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲪᲧᲠᲝᲑᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ, ᲗᲥᲕᲐ Კ. ᲑᲐᲒᲘᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗ. ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲓ ᲐᲦᲘᲠᲘᲡᲮᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲛᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

— ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲛᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲬᲘᲤᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲠᲝ ᲕᲣᲠᲦᲣᲜᲘᲡ, ᲛᲐᲛᲐᲓ ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ, ᲛᲐᲨᲐᲓ ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ, ᲛᲐᲡᲘᲜ ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ 26 ᲑᲐᲥᲝᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲮᲝᲚᲔ ᲘᲚᲘᲩᲜᲔᲑᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ. ᲩᲐᲠᲪᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ახალი პოლიტიკური აზროვნებისათვის

— ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე (იგი აღინიშნება ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რომელიც ასზე მეტი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს აერთიანებს) ახალი ძალით აყენებს ყველა ჩვენგანის წინაშე ერთ უმთავრეს საკითხს, — უთხრა „ახალი ამბების“ საგაზეთოს კორესპონდენტს სსრკ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა რ. მოსაევამ — საქმე ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წვლილს ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მისი ძირითადი წანამძღვრის შემუშავებაში — ომებსა და ძალის პოლიტიკაზე უარის თქმას ატომური ბირთვისა და კოსმოსის ბანაში. ეს წვლილი მნიშვნელოვანწილად „ამოკიდებულია ჟურნალისტების პროფესიულ ოსტატობაზე, კომპეტენტურობაზე, სულიერ ენერგიაზე, მათს ზნეობრივ ავტორიტეტზე.

რაც შეეხება საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ თავიანთ უმნიშვნელოვანეს პროფესიულ ამოცანად მიიჩნიეთ პოპულარიზაცია ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივებისა, საიდანაც უნდა მოდიოდეს ისინი, საზოგადოებრივი ხელშეწყობა იმისათვის, რომ ისინი კონკრეტულ გადაწყვეტილებებად და მორგებებად გადაიქცეს. ამასთან დაკავშირებით შემიძლია, აღვნიშნო, კომძოდ, გაზეთ „პრავდის“ პუბლიცისტური სტატიები რუბრიკებით „ოთხმოციანი წლების მსოფლიო“ და „სხვადასხვა პოზიციიდან“; „მრგვალი მაგიდები“ და „პუბლიცისტის შენიშვნები“ მეორე ცენტრალურ გაზეთში „იზვესტიაში“; „აზრთა გაზიარება“ ჟურნალ „მეედუნაროდნაია ჟიზნში“, ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ სპეციალური ნომრები, რომლებიც ეძღვნება უბრთვო მსოფლიოს და გამალებული შეიარაღების შეზღუდვას; „ტელეხიდები“ სსრ კავშირსა და აშერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

ახალი პოლიტიკური აზროვნების გამომუშავებაში მნიშვნელოვან როლს უთუოდ ასრულებს ჟურნალისტთა დღენიადაგ მზარდი საერთაშორისო კავშირურთიერთობაც. ამჟამად სსრკ ჟურნალისტთა კავშირს კონტაქტები აქვს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 66 ქვეყნის 80-ზე მეტ ჟურნალისტთა ეროვნულ ორგანიზაციასთან, იგი არის ოთხი საერთაშორისო (მათ შორის ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის) და ჟურნალისტთა სპეციალიზებულ ორგანიზაციათა წევრი.

ჟურნალისტთა კავშირის საერთაშორისო საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა არა მარტო თანამშრომლობის ფორმების გაფართოება, არამედ მათი გაღრმავებაც, კოხტაქტებისა და დიალოგების ახალი, უფრო ეფექტიანი არხების ძიება. ეს უწინარესად ეხება ჩვენს კოხტაქტებს სოციალისტური ქვეყნების ჟურნალისტთა გაერთიანებებთან. ამასთან დაკავშირებთ ზინდა აღვნიშნო ამ ცოტა ხნის წინათ — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ — კონტაქტების აღდგენა სრულიად ჩინეთის ჟურნალისტთა ასოციაციასთან: მისმა დელეგაციამ ამ ზაფხულში ორი კვირა გაატარა სსრ კავშირში და ხელი მოაწერა სამუშაო ოქმს ჩვენთან თანამშრომლობის შესახებ.

გაკტიურად აგრეთვე ჟურნალისტთა კავშირის ურთიერთობა განვითარებადი ქვეყნების ორგანიზაციებთან. ბევრ მათგანთან ამჟამად დადებულია გრძელვადიანი შეთანხმებანი, მაშინ როცა ახლო წარსულში კონტაქტები მხოლოდ ეპიზოდური იყო. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებს არა მარტო დელეგაციების, არამედ პუბლიკაციების გაცვლასაც, მორალური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევას და ა. შ. კერძოდ, გაითვალისწინა რა განვითარებადი ქვეყნების სურვილები, ჟურნალისტთა კავშირმა მოსკოვში გასული წლის დამლევს გახსნა ზუმდივმქმედი სამთვიანი კურსები ეროვნული ჟურნალისტთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების (ნიგერიის, განის, ეთიოპიის, ტანზანიის, მოზამბიკის, ანგოლის) წარმომადგენლებმა უკვე დაამთავრეს აქ სწავლების კურსი.

და, ბოლოს, შევეხები ჩემი საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან ფორმას, როგორიც არის კავშირურთიერთობა დასავლეთის ქვეყნების კოლეგებთან. დღეს ჩვენ ურთიერთობა გვაქვს აგრეთვე 19 კაპიტალისტური სახელმწიფოს 33 ჟურნალისტთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციასთან. ამ ბოლო წლების მანძილზე, მაგალითად, დამყარდა რეგულარული კონტაქტები ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალისტთა გაერთიანებებთან — ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოებასთან, ახალი ინგლისის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოებასთან და სულ ახლახან — ხანგრძლივ პრესის ინსტიტუტთან („ბლეკ ტრეს ინსტიტიუტი“). მომდინარე წლის ზაფხულში — პირველად — ჟურნალისტთა კავშირის დელეგაცია გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში ინგლისელ კოლეგებთან დისკუსიებისათვის.

ამ ქვეყნებთან ჩვენს კონტაქტებში მყარდება ისეთი ურთიერთსასარგებლო ფორმები, როგორიც არის სტაჟიორების გაცვლა (ამას წინათ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ მომუშავე ორი ახალგაზრდა ჟურნალისტი გაემგზავრა შინ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მალე კი იქ ჩავა ორი საბჭოთა სტაჟიორი), „მრგვალი მაგიდების“ მოწყობა, ფოტოგამოფენების გაცვლა და ა. შ. ამგვარ შეხვედრებზე მიმდინარე დისკუსიები, რაგინდ „მახვილიც“ უნდა იყოს ზოგჯერ ისინი („მაგიდების“ მრგვალი ფორმის მიუხედავად), ემსახურება მთავარს — მეტი ურთიერთგაგების, ერთმანეთისადმი პატივისცემის მიღწევას. ეს კი დღევანდელ მსოფლიოში უაღრესად საჭიროა, რადგან სწორედ ნდობის დეფიციტი უბიძგებს ხოლმე მსოფლიოს ბირთვული მოსპობის საშიშ მიჯნისაკენ. ასე რომ, ამ თვალსაზრისით სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების წვლილი საერთაშორისო ურთიერთობაში უფრო კეთილსმყოფელი კლიმატის დამყარებაში ფრიად არსებითია. მაგრამ იგი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს.

ჟურნალისტი
ტელეტაიპი
გაზეთოგვცემს
7 სექტემბერი ● საკდესი

◆ არგენტინა

არჩევნების შედეგები

ბუენოს-აირესი. *კვირას არგენტინაში გაიმართა არჩევნები, რომლის დროს სანახევროდ განახლდა ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატა, აირჩიეს პროვინციათა გუბერნატორები, საკანონმდებლო და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოების წევრები. არჩევნებში მონაწილეობდა 19 მილიონზე მეტი კაცი.*

წინასწარი მონაცემებით, მმართველმა სამოქალაქო რადიკალური კავშირის პარტიამ დაკარგა აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტის ქვედა პალატაში. გადამწყვეტი უპირატესობა ვერ მოიპოვა პროვინციებშიც. ამავე დროს უდიდესმა ოპოზიციურმა ხუსტისიალისტურმა პარტიამ განიმტკიცა პოზიციები როგორც ეროვნულ კონგრესში, ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებშიც.

როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, არჩევნებში ხუსტისიალისტური პარტიის წარმატება სერიოზულად აძნელებს პრეზიდენტ რაულ ალფონსინის მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმების რეალიზაციას.

◆ იაპონია

წყალქვეშა რობოტ-გეოლოგი

ტოკიო. *იაპონიის „ჰონდა სეიკი სეისაკუსიოს“ ფირმის სპეციალისტებმა შექმნეს წყალქვეშა რობოტ-გეოლოგი. იგი განკუთვნილია ზღვებისა და ოკეანეების ფსკერიდან გრუნტის სინჯის ასაღებად. რვა ფეხითა და ოთხიგე მიმართულებით მოძრაობის უნარით რობოტი კიბორჩხალას ჰგავს. კონსტრუქცია საშუალებას აძლევს „კიბორჩხალას“ იმუშაოს 6.000 მეტრამდე სიღრმეზე. იგი აღჭურვილია ვიდეოკამერით. რობოტი სულ 10 კილოგრამს იწონის, ზომაა 60 სმ X 40 სმ X 45 სმ. აპარატი დამზადებულია ანტიკოროზიული და მტკიცე ალუმინის შენადნობისაგან. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ ზღვის მაღნის მარაგის დაზვერვის გრძელვადიანი პროგრამის რეალიზაციის საქმეში.*

◆ აშშ

ქალებს ზრდის ეშრეში

ვაშინგტონი. *შეერთებული შტატები თავის საბრძოლო ხომალდებს არ გამოიყენებს სპარსეთის უურის რაიონიდან, თუნდაც ხვალ იქ მშვიდობა დამყარდეს. ეს პირდაპირ განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა ვერნონ უოლტერსმა.* შეერთებულ შტატებს, ხაზგასმით აღნიშნა მან სი-ბი-ეს ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში, „არასოდეს არ გამოუყენია იქიდან თავისი სამხედრო-საზღვაო ძალები ეს ეანასკენელი 40 წლის მანძილზე“. როგორც უოლტერსმა თქვა, მეომარ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც კი ვაშინგტონის ადმინისტრაცია სპარსეთის ყურეში ამერიკის სამხედრო ყოფნის შესახებ „შესაბამისი გადაწყვეტილებ ის მიღებამდე“, ჯერ „შეხედავს“, თუ რა მოხდება და როგორი ვითარება შეიქმნება.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ თავს უურის სამხედრო-საზღვაო ძალებს სპარსეთის ყურის რაიონში. ენ-ბი-სი ტელეკომპანიის მონაცემებით, ყურეში და მის მახლობლად ამერიკის სამხედრო ხომალდების რიცხვმა 41 ერთეულს მიაღწია და ამაში შედის ავიამზიდი, სახაზო ხომალდი, ხუთი კრეისერი, ხუთი საესკადრო ნაღმოსანი, ცხრა ფრეგატი და ორი წყალქვეშა ნავი. მაგრამ ეს სამხედროსაზღვაო არმადაც კი, როგორც ჩანს, ადმინისტრაციას „ეცოტავება“. შეერთებული შტატები ამ რაიონში ახალ ხომალდებს გზავნის. ექვსმა ნაღმსაეერმა გემმა დატოვა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზები და სპარსეთის ყურისაკენ გაემართა.

ამავე დროს სპარსეთის ყურის რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღ ვ ა ო დაჯგუფების ძლიერების ზრდა პენტაგონის ზოგიერთი ხელმძღვანელის შიშსაც კი იწვევს. როგორც გაზეთი „ნიიაში ჰერალდისათვის“ ცნობილი გახდა, ჯერ კიდევ ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრმა ჯეიმს უებმა ზესაიდუმლო მემორანდუმი გაუგზავნა პენტაგონის შეფს კ. უაინბერგერს, რომელშიც გამოთქვა შეშფოთება ადმინისტრაციის იმ გადაწყვეტილების შედეგების გამო, რომ გაზარდოს ამერიკის სამხედრო ყოფნა სპარსეთის ყურეში „ნოსნობის თავისუფლების“ უზრუნველყოფის მიზნით.

მაღაროელთა გაფიცვა

ათასობით სამხრეთაფრიკელმა მაღაროელმა დაიწყო გაფიცვა, რომელიც, შესაძლოა, ქვეყნის ისტორიაში თავიანთი უფლებებისათვის მშრომელთა უდიდესი გამოსვლა გახდეს. გაფიცვამ მოიცვა ქვეყნის 46 ოქროს საბადო და ქვანახშირის შახტი. როგორც მოელიან, საერთო ანგარიშით გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებს მაღაროელთა ეროვნული კავშირის 200 ათასზე მეტი წევრი. გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნებია: ხელფასის მომატება, შრომის დაცვის ელემენტარული ნორმების უზრუნველყოფა, რასობრივი დისკრიმინაციის შეწყვეტა წარმოებაში. „გაფიცვას არ შევწყვეტთ, სანამ არ მივაღწევთ იმას, რაც გვინდა, თუნდაც ამას რამდენიმე თვე დასჭირდეს“, — განაცხადა მეშახტეთა მატიანგზე მაღაროელთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტმა ჯეიმს მოტლატსიმ.

სურათზე: გაფიცვის მონაწილენი.

აშპ-საკდესის ტელეფოტო.

ლაღად, ხალისიანად

თბილისს რესპუბლიკის მოედნის ესტაკადის ქვეშ ქარვასლას ახალგაზრდული როდი ეწოდება. მისი ოფიციალური სახელწოდებაა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ცენტრი, მაგრამ იგი გაიხსნა 6 სექტემბერს — სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული სეირნობის დღეს.

ცენტრის მშენებლობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები მესამე შრომითი სემესტრის დროს, მოსე თოიძის სახელობის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები, შაბათობებზე კი მთელი თბილისის ახალგაზრდობა.

საქართველოს მშენებლობის საინსტიტუტოს № 13 ტრესტის მეშვიდე სამმართველოს ოცდაათი წლის სამუშაოთა მწარმოებელმა ნიკო მდივანმა თქვა, რომ სამუშაოები აქ მხოლოდ ახლა იწყება და მზად არის მარტო ზედა მესამე სართული.

„მოდით, ერთად დავისვენოთ“ — ეს იყო დღესასწაულის დევიზი, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლები ესტრადის მოყვარულებს იწვევდნენ. ახალგაზრდა მხატვრები თავიანთ სურათებს სთავაზობდნენ მოსულთ. ჩრუსთაველ-პროსპექტზე, რომელიც ამ დღეს ტრანსპორტისათვის დაიკეტა, ნორჩებმა ნახეს ქართული და რუსული თოჯინების თეატრების სპექტაკლები.

მუსიკა და ყვავილები, კეთილი ხუმრობა გაისმოდა ამ დღეს ახალგაზრდულ დისკოთეკაზე. სეირნობა ეკონომიკურ ინსტიტუტის მოყვარულებს იწვევდნენ მოედანზე, სადაც ერთდროული თამაში მიმდინარეობდა სამას დაფაზე. მოდის მოყვარულებს გააცნეს 1988 წლის ახალი მოდელები. რესპუბლიკის მოედანზე გამართულმა სტუდენტურმა მეჯლისმა ყველა მსურველი ვერც კი დაიტია. სეირნობა გვიან ღამემდე გაგრძელდა. ახალგაზრდულ ზეიმში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, ო. ე. ჩერქეზია, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია.

(საქინფორმი).

სურათებზე: ზეიმი რუსთაველის პროსპექტზე.

შ. აივაზოვის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და პ. ვაჩიანის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

◆ ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ახალი ორბეთი

შენდება თეთრი წყაროს რაიონში, რომელიც მალე მიიღებს მესტიის რაიონიდან გადმოსახლებულ ას ოჯახს, თითქმის ყველა სახლს შემოეხსნა ხარაჩოები, უმეტესობა გადახურულია, მიმდინარეობს შიგა სამუშაოები და კეთილმოწყობა. პარალელურად საფუძველი ჩაეყარა საშუალო სკოლის, კლუბის, საბავშვო ბაღისა და მაღაზიების შენებლობას.

▼▼

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კელნში პანტომიმის თეატრების ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალზე წლიურად თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

პირველად მიიწვიეს

კელნის წლევანდელი ფესტივალი გამოირჩევა მასშტაბურობით. აქ თავს მოიყრიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო თეატრალური დასები, მათ შორის საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან, ინგლისიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოწვეული კოლექტივები. ჩვენი ქვეყნის ხელოვნებას პირველად წარმოადგენს თბილისის პანტომიმის თეატრი.

ქართველი მიმები, რომლებსაც სამი დღე ეიმობთ, მაყურებელს უჩვენებენ თავიანთ საუკეთესო დადგმებს. ესენია: ევრიპიდეს „ელექტრა“, გ. დოჩანაშვილის „ფიროსმანი, მეფე“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „კრიმანჭული“, „მომავლის იმედით“, აგრეთვე ა. შალიკაშვილის სოლო კონცერტი — „ხელები“.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა ბ. დურგლიშვილმა.

„ბოლოს, ერთ-ერთ ასეთ ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობამ, რომელიც ეს-ეს არის მივიღეთ, გული გვატკინა ყველას, უფრო მეტიც — დაგვზაფრა!..

სიკვდილი ყველგან სიკვდილია — შინ თუ გარეთ, და ამის შეგონება მიამტობ

ც კია, მაგრამ... სიკვდილიც არის და სიკვდილიც!

გვაქვს ქართველებს სიტყვათა შორის ამ უსასტიკესის ერთგვაროვად შემამსუბუქებელი სინონიმი.

გარდაიცვალაო, ვიტყვით ხოლმე რაღაცნაირი მოკრძალებით და ამით, თითქოს, თავს ვინუგეშებთ... დიახ, ვინუგეშებთ, როცა ამაღლებულ სიკვდილთან გვაქვს საქმე, როცა ვიცით, რომ ადამიანმა კეთილსინდისიერად მოიხადა მოსახდელი ვალი საზოგადოების, ოჯახის წინაშე და მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს.

ამგვარად კი ყოველად უაზრო სიკვდილზე გვაქვს საუბარი.

მოგვიტევონ ქირისუფლებმა და თვით გარდაცვლილებმაც (ესეც ჩვენებური წესითა და ადათით), მაგრამ ამგვარი უაზრო სიკვდილი ორმაგად საწუხარია.

ტიუმენის ოლქში, ქალაქ ურაიდან მოშორებით დატრიალდა ტრაგედია.

რა მოხდა?..

კოვკასიის ტყეთმოწყობის საწარმოო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ორი მესამედი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ეწევა საველე სამუშაოებს. წლეულს 15 მაისს დაიწყო ეს კამპანია და კიდევ ორ თვეს გაგრძელდება.

ის ორმოცაკაციანი ექსპედიცია კი, რომელსაც ო. ქადაგიძე ხელმძღვანელობს და ტყეთმოწყობის პარტიათა უფროსები თ. ფარჯანაძე, ა. ხუციელავა და გ. სესიაშვილი არიან, ტიუმენის ოლქს ეწვია.

15 აგვისტოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ტყიდან ვერტმფრინავით გამოიყვანეს ერთ-ერთი პარტიის ინჟინერი მ. რუხაძე. ეს თარიღი მისი დაბადების დღე გახლდათ და მანაც სტუმართმოყვარულად მიიწვია მეგობრები — კ. პოპოვიანი, ფ. ფაშიანი, მ. ტაბატაძე და გ. სუბიაშვილი.

ლხინში შესულთ, როგორღაც ანტიფრიზი აერიათ არაყში და...

როგორც ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, „თითოეულმა 20-20 გრამი დალია. შემდეგ, რაკი პარტიის უფროსმა გ. სუხიაშვილმა სმის გაგრძელება აუკრძალათ, გ. რუხაძემ ბოთლში დარჩენილი სასმელი, რომელიც არაყი ეგონათ, შინახა“.

ანტიფრიზი საიდან გაუჩნდაო?

საბედისწერო შეცდომა?!

თუ ტრაგედია, რომლის თავიდან აცილებაც შეიძლებოდა

თ. ფარჯანაძეს შეუძენია 22 ლიტრი...

მეორე დღეს იუბილარმა ოჯახიდან გამოგზავნილი ამანათი მიიღო, რომელშიც სამი ლიტრი სპირტიც აღმოჩნდა. რუხაძე, პოპოვიანი, შემოსწრებული მუშა ვ. სირიპინი და მისი მეგობარი კვლავ შემოუსხდნენ სუფრას და... სმისას კვლავ აერიათ სასმელი — გადანახული ანტიფრიზი დალიეს, სულ ორი შამპანურის ბოთლი.

ღამის ორ საათზე პოპოვიანი შეუძლოდ გახდა და სასწრაფოდ გადაიყვანეს ურაის საავადმყოფოში, დილით კი რუხაძეც აქვე მოათავსეს.

ამაო გამოდგა მედპერსონალის ცდა — ორივენი გარდაიცვალნენ. ძმძმეა სირიპინისა და მისი მეგობრის მდგომარეობაც.

საქმეს ურაის პროკურატურა იძიებს.

მეტისმეტად სამწუხარო ამბავია, მკითხველო?

მიუხედავად გულისტკივილისა, დარწმუნებული ვართ, შენც უაზრო სიკვდილად მონათლავ ამგვარ გარდაცვალებას, და ვერც გისაყვედურებთ.

— ასეთი შეცდომა გაგონილაო?! — ესეც აღმოგხდება გულიდან და კვლავ და კვლავ მიცვალებულთადმი მოკრძალება არ გამქმევინებს აუგს.

ჩვენც ამის გამო არ გვიბრუნდება ენა კატეგორიული დასკვნებისათვის, მაგრამ სიმართლეს, რაგინდ მწარეც იყოს, მაინც უნდა გავუწოროთ თვალი.

რატომ ვდუნდებით, რატომ ვერ ვიჩენთ მეტ სიფხიზლეს ყველგან და ყველაფერში, განურჩევლად დროისა და ადგილისა, თუნდაც ტყეში?!

დღეს, როცა უთავბოლო ქეიფსა და უმიზნო დროსტარებას თავად საზოგადოებამ ამოსდო აღვირი, როცა ყველაფერში მკვიდრდება ზომა-წონა, არაყმა და ანტიფრიზმა კაცი როგორ უნდა იმსხვერპლოს?

არც იმაში შეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ტრაგედია მხოლოდ საბედისწერო შეცდომის შედეგი არ უნდა იყოს.

მიზეზი კვლავ და კვლავ საერთო უდისციპლინობა, საერთო გულგრილობა და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის ჯერ ისევ დაბალი ფხენა. ეს იმის შედეგიც არის, რომ ბევრი ხელმძღვანელი თავის ადგილზე არ დგას, და ჭგონია, მარტო გეგმა თავის და მხოლოდ გეგმისთვის აგებს პასუხს.

არც ის გახლავთ დასავიწყებელი, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი კოლექტივების გაგზავნისას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას უნდა ვიჩენდეთ. ეს ადამიანსაც არგებს და რესპუბლიკის სახელსაც, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ერთად აღებული თითოეული ჩვენგანის, ჩვენი ოჯახების სახელი, ღირსება და ავტორიტეტი.

ვაგლახ, რომ ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა, თორემ ეს ცრემლნარევი სტრიქონებიც არ დაიწერებოდა.

ლ. ჩიქოვანი.

ა. ი. შიოლაშვილი

გარდაიცვალა 1925 წლიდან სკკპ წევრი, ქართველ სამხედრო ავიატორთა პირველი თაობის წარმომადგენელი, საზღვაო ავიაციის გადამდგარი პოლკოვნიკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პარტიის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი არჩილ იოსების ძე **შიოლაშვილი.**

ა. შიოლაშვილი დაიბადა 1903 წელს ყაზბეგში. 1921 წელს გაიწვიეს არმიაში, სადაც დაპყო 1955 წლამდე და გაიარა გზა რიგითი მებრძოლიდან პოლკოვნიკობამდე.

1941-46 წლებში ა. შიოლაშვილი სხვადასხვა სამხედრო ნაწილის მეთაურად მუშაობდა, მონაწილეობდა ამიერკავკასიის ფრონტის მოქმედ არმიაში. შემდეგ იგი მოღვაწეობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თადარიგში გასვლის შემდეგ ა. შიოლაშვილი ბრუნდება საქართველოში და მუშაობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საზღვაო კლუბის უფროსად.

ა. შიოლაშვილი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, ორი საბრძოლო წითელი დროშის, სამამულო ომის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მრავალი მედლით.

პრინციპული კომუნისტის, გულისხმიერი მეთაურის და ამხანაგის არჩილ შიოლაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიონული კომიტეტი, საქართველოს პარტიისა და ომის ვეტერანთა კომიტეტი.

სპორტული კვირადღის ექო

განვლილი კვირის სპორტული კალენდარი ფრიად მრავალფეროვანი და მდიდარი გამოდგა. დამთავრდა ორი მსოფლიო ჩემპიონატი (მძლეოსნობაში და ველოსპორტში), ერთი კი გრძელდება (ძალოსნობაში). ამას გარდა მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატები ბალახის ჰოკეიში და კალათბურთში, ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, კანადის თასი გათამაშება შაიბინ ჰოკეიში, თბილისში დასრულდა წყალმტრმელთა სამატჩო შეხვედრა და სერგი შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი. სპორტსმენებმა ისპარეზეს სხვა სახეობებშიც. მივყევეთ რიგით.

რომის „ფორო იტალიკოს“ სტადიონზე გამართულმა მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატმა მართლაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ფაქტობრივად ამ დიდ შეჯიბრებას მთელი პლანეტა აფეთებდა თვალს და სტადიონზე დამსწრენი თუ ტელეკონტროლთან მსხდომნი მოწმენი გახდნენ სპორტსმენთა შეუპოვარი ისპარეზობებისა. ჩემპიონატის მიწურულს ზაპოროჟიელმა ტატიანა სამოლენკომ კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა, ამჯერად 1500 მეტრზე რბენაში — 3:58,56, მოსკოველმა ნატალია ლისოვსკაიამ ყველას აჯობა ბირთვის კვრაში — 21,24 მ, ხოლო მსოფლიო რეკორდსმენი, დონეცკელი სერგი ბუბკა უძლიერესი იყო ჭოკით ხტომაში — 585 სმ. ამ სახეობაში მესამე ადგილზე გამოვიდა ტაშკენტელი რადიონ გატაულინი — 580 სმ. ევროპის რეკორდსმენმა, ლენინაკანელმა რობერტ ემიანმა სიგრძეზე ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა — 853 სმ. მას მხოლოდ კარლ ლიუსმა (აშშ) აჯობა — 867 სმ. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ევროპის რეკორდი დაამყარა (38,02 წამი) და მეორე ადგილზე გამოვიდა (გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 37,90). ამავე სახეობაში ჩვენი ქალთა ნაკრები მესამე იყო (42,33), 4X400 მეტრზე ესტაფეტაში — მეორე (3.19, 50). ამ სახეობებში უძლიერესთა წოდება შესაბამისად მოიპოვეს აშშ-ს და გდრ-ის მძლოსნებმა (41,58 და 3.18,63). ასპარეზობის ბოლო დღეს გამარჯვებულთა შორის იყვნენ აგრეთვე აბი ბილე (სომალი, 1500 მეტრზე რბენა — 3.36,80), დუგლას ვაკიხირუ (კენია; მარათონი — 2:11.48), პატრიკ შუბერგი (შვეიცია; სიმაღლეზე ხტომა — 238 სმ). ასეთივე სიმაღლე დაძლიეს ფრუნზელმა იგორ პაკლინმა და ოდესელმა გეადი ავდეენკომ. მათ შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს, ვინაიდან შებერგი პირველივე ცდაზე გადაეცალა თამასას.

დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაშიც, რომელიც ავსტრიის ქალაქ ფილახის შემოგარენში მიმდინარეობდა. აქ ბოლო ოქროს მედალი წილად ხვდა რიშარ ვივიენს (საფრანგეთი). მან 180 კილომეტრზე საგზატკეცილო რბოლა მოიგო — 4:12. 47. ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა ველოსიპედისტებმა ყველაზე მეტი — 5 ოქროს მედალი მოიპოვეს, ფრანგებმა — 3.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავაში კი ეს-ეს არის დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. პირველ დღეს ორივე ოქროს მედალი ბულგარელებმა მოიპოვეს — სვედალინ მარინოვმა (52 კგ-მდე წონა) და ნენო ტერეზიისკიმ (56 კგ). პირველმა ორჭიდეს მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 262,5 კგ, მეორემ კი 287,5 კგ დააგროვა. ასპარეზობის სტარტზე ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა აკვარაში, ამასთან ორივე დამატებით ცდაზე: ჩინელმა ხე ჯიიანმა (უმჩატესი წონა) 153 კგ აჩვენა, ტერზიისკიმ (მჩატე) — 171 კგ. აღნიშნულ წონითს კატეგორიებში საბჭოთა სპორტსმენებს არ უსასპარეზიათ.

ესპანეთში დაწყებულ კალათბურთულ ქალთა ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩი, სსრ კავშირის ნაკრებმა პოლონელებთან გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 95:62. ამ ქვეჯგუფში (სპარეზობენ ქალაქ ხერესში) საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ორი მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს: რუმინელებთან — 95:52 და უნგრელებთან — 110:70. ხერესის ქვეჯგუფში 6 ქულით დაწინაურდა სსრ კავშირის ნაკრები. კადისის ქვეჯგუფში კი ლიდერობენ ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის კოლექტივები — 6-6 ქულა.

ლონდონში გრძელდება ქალთა ევროპის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. სსრ კავშირის ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში მეორე მატჩიც მოიგო და ჰოლანდიელებთან ერთად ლიდერობს — 6-6 ქულა. ამჯერად საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ფრანგები — 6:0.

ფაიბინ ჰოკეიში კანადის თასის გათამაშების საწყისი ეტაპი უკვე დამთავრდა. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი საბჭოთა ჰოკეისტებმა კანადელებთან გამართეს. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3, დანარჩენ მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: ჩეხოსლოვაკია-აშშ — 3:1, შვეიცია-ფინეთი — 3:1. ამ ეტაპის შემდეგ გუნდები გათამაშების ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: კანადა — 8 ქულა, სსრ კავშირი — 7, შვეიცია — 6, ჩეხოსლოვაკია — 5, აშშ — 4, ფინეთი — 0. ნახევარფინალურ მატჩებში გუნდები ასეთნაირად დაწყვილდნენ: სსრ კავშირი-შვეიცია (ეს შეხვედრა მოეწყობა 8 სექტემბერს გამილტონში) და კანადა-ჩეხოსლოვაკია (9 სექტემბერს მონრეალში).

ნიუ-იორკში მიმდინარეობს აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. მოსკოველი ანდრია ჩეხოვი მეორე და მესამე წრეში ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ (დაამარცხა შვედი პეტერ ლუნდგრენი — 6:2, 7:5, 2:6, 6:0 და ურუგვაელი დიეგო პერესი — 6:1, 6:2, 6:2) 16 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის ისპარეზებს. პოლონეთის ქალაქ ბიტომში გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე **თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე** და ტალინელი ანდრეს ვისანდ